

რეზენი გზა

№ 33

თფილისი

1907

კვირა, 14 თქმობეერი

ცალკე ნომერი 5 კან.

გაზეთი „რეზენი გზა“ გამომწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ლირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელისუფლების დასახელებული განცხადებანი მიიღება „რეზენი გზა“-ს რედაქციის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმების გარდა, დღის 10 საათიდან. მისამართი: 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოწერილი წერილები დასაბუთდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ იბეჭდება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დღი წერილები და მოთხოვნები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დღის 12 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე, კვირა-უქმობით—დღის 11-დან 12 საათამდე. ადრესი: თიფლისი, კონტორა რედაქცია „Чвени Гза“, Велико-княжеская № 35.

№ 33

ყოველ-ღიუხრი საკოლონიური და სალიბერატურო გაზეთი

№ 33

ყოველღიუხრი საბოლოო და სალიბერატურო გაზეთი

რეზენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპიეტი.

დასაბეჭდავთ გამოგზავნილი წერილები სუფთათა უნდა იყოს დაწერილი ერთ ბეგრულზე.

ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დღის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. კვირა-უქმობით დღის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: თიფლისი, კონტორა რედაქცია „Чвени Гза“, Велико-княжеская № 35.

გაზეთი „რეზენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჭდავით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: თიფლისი, ტიპოგრაფია „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІВІЧУ ЦИЦА ДЗЕ.

ამსახურება, ტრალიკულათ გარდაცვალებულის გაზ. „სინათლე“-ს ყოფილ რედაქტორის

არსაა სოლომონის ძე ვარნაზიანისი

(იგივე ცაფცაზ ხანგი)

ნაცნობებს, სთხოვენ მოზრდანი მის გამოცხადებაზე 14 ამა ოქტომბერს, დღის 10 საათზე, სურფნიშანის ქუჩაზე ჯავახოვის სახლში № 4, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ თანდოვის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—2).

მწუხარებით აღსაყვ ეკატერინე, ელისაბედ და გიორგი ვარნაზიანელები; ნინა სოლომონის ასული და გიორგი იაკობის ძე ციციკოვი აუწყებენ ნათესაებს და ნაცნობთ ტრალიკულათ სიკვდილს პირველნი ძმის ხოლო უკანასკნელნი ცოლის ძმის

არსაა სოლომონის ძე ვარნაზიანისი.

ცხედარს გამოასვენებენ 14 ოქტომბერს, დღის 10 საათზე, სურფნიშანის ქუჩიდან სახლი ჯავახოვისა № 4, თანდოვის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—2).

ვითხოვ პატრენულ საზოგადოებას მოითხოვს **ფირალივის** პაპირისი „სამ-ზატა“ და „ინტელიგენცია“, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არმატიული თუთუნისაგანა შეზავებული და პროგრესიულით გაუმჯობესებული.

პატრენიცემით ძმ. **ფირალივი**. 10—5—6.

კ მ მ ი ს ი ა

„ასალუენის“ საზოგადოების

ამით აცხადებს ყველა ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ კანტორა სახლის ქუჩიდან გადავიდა პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟში, მეორე სართულში, № 22. (2—ფ.—2)

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

სამშრომლო სამხედრო-საქონლო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორნინატორი **შუბის, შა-ლის** და **სხპირისა** იღებს ყოველდღე ვაიმოყი-ფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ. № 10. ტელეფ. № 595.

აკილის აიხი

სამსონ ვაჟაყვაი

გადავიდა ვაგზლის ქუჩაზე № 10, სლოვიცკი სახლში.

ავაიმოყიებს მიღებს ყოველ დღე, დღის 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (ფ.)

УЧИТЕЛЬ И УЧИТЕЛЬНИЦА

Готовят во всё среднія учеб. зав.—гимназии, реальныя и земледѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ. Репетируютъ. Адресъ: Тифлисъ, Сололаки Вознесенская, Церковный подъемъ, № 4. (10—4) **С. А. ГРЯЗНОВЪ.**

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს და წრთვების მოწავლე ქალ-ვეთ ყველა საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: უჯღის ქუჩა № 18, თურქას ბინა.

დროა გვიპასუხით

გაისმა თუ არა ხმა ილია ქავჭავაძის მკვლელობის შესახებ, ყველასთვის ცხადი შეიქნა, თუ როგორ ისარგებლებდნ ჩვენი ფედერალისტები ამ შემთხვევით. რათი მიზანი იყო ამ მკვლელობაში ბრალი სოციალდემოკრატებისთვის დაედვათ და მით გაემარჯობათ ქვეშარტ-ქართველთა პოზიცია. ჩვენ ფედერალისტებს; როგორც ჩანს, კარგათ ახსოვდა თქმულება: куй желѣзо, пока горячо. მათ კარგათ

Требуется

ПОДДЕРЖАННЫЙ

Электро-моторъ

Спросить въ типографіи «Сорапань».

იცოდენ, რომ ცილიწამებს, დემაგოგის, ინსინუაციის მეტი გასავალი აქვს, როცა გონების ადგილს საესებით გრძობა იჭერს; დაახ, სწორეთ ამ იმედით სულდგმულობდენ ჩვენი ფედერალისტები, როცა მათგური თავდავიწყებით და გატაცებით შეუდგენ უღირს მიზნის განხორციელებას; ამიტომ იყო, რომ მათ უკანასკნელი პატრენიცემის მაგიერ განსვენებული ქავჭავაძის საფლავზე შუბის ძიების ფერხული გააჩაღეს და, ჰე მავათ ძახილით მიიბარეს საფლავს ის კაცი, რომელსაც, ვითომდა, ასე დიდათ აფასებდენ. ასეთი-საქციელი ჩვენ ილია ქავჭავაძის ცხედრის წინაშე დავგმეთ. ჩვენ პირველ ხანებში ვთქვით და მოვიმოქმედეთ ის, რაც უფრო შეეფერებოდა მის მიზნულ მომენტს. აღნიშნეთ ის, რაც ღირსი იყო აღნიშვნის და ჩვენი მონაწილეობა გამოხატეთ იმრიგათ, რარისგათა უფრო შეგვეფერებოდა ჩვენც და განსვენებულსაც. თან ვთქვით ისიც, რომ ჩვენ ახლო მომავალში ანგარიშს მოვსთხოვდით „ქვეშარტ ქართველებს“. ეს გუშინდელი ფაქტებია და მათი უარის ყოფა შეუძლებელია. ეს რასაკვირველია, „ისარმა“-მაც ძლიერ თარგათ იცის. მან თითონვე აღიარა თავის ფერხულებზე, რომ ჩვენ ილია ქავჭავაძის ღირსეულით დავფასეთ. დღეს კი „ისარი“ ქვეყანას არწმუნებს; თითქო ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ვითომ ვსდუმდით (იხ. „ისარი“, № 223). აღბათ „ისარი“-ს ის უნდოდა ვთქვა, რომ ჩვენც მსგავსათ „ქვეშარტ ქართველებს“, „ქართველო, ხელი ხმაღს იკარა“ არ გვეყვრიდა და არც ქართველი ხალხის ვითომდა სიკვდილი გვეუწყებია ცა და ქვეყნისათვის. თუ ასე ფიქრობს „ისარი“, ის მართალია, მართალია, რომ ჩვენ არც „ქვეშარტ ქართველებს“ და არც მათ იდეოლოგებს, ჩვენ ფედერალისტებს, არ შევეცილებივართ ამ საპარტახენო და ყოველთა შეუფერებელ საქციელში, რადგან ეს მათ უცილობელ პირვილეგიათ მიგვაჩნდა და მიგვანჩია.

დღეს ჩვენ ფედერალისტებს უკვე გონივით, რომ „მათ ქვეშარტ ქართველთა“ პირველი პოზიცია ასეთი უმსგავსო მოქმედების წყალობით აიღეს, მაგრამ პოზიციის მარტო აღება ხომ არ კმარა; საჭიროა მისი შეჩინა, გამაგრება. და აი, „ისარმა“, მისი იმით, გამოანახა ამის საშუალება, ის მოუწოდებს ქართველ სოციალისტებს კულტურულ მუშაობისაკენ; მას უნდა ჩვენებურ სოციალისტებს დააკისროს ის როლი, რომელსაც სხვა ერებში ასრულებენ საშუალო ელენენტები. ცხადია, საით მიექანებოან ისრელები. აშკარაა, რომ უკვე დადგა ის მომენტი, როცა ჩვენი სოციალისტ-ფედერალისტები უნდა გამოძიერონ სოციალისტურ ქერქიდან და „ქვეშარტ-ქართველობის“ ქერქში უნდა გავხვიონ. ჩვენც ამ გარემოებაზე მიუთითეთ „ისარს“ და თანაც ურჩიეთ, რომ ბოლოში თავი დაანებოს და საქმეს შეუდგეს. „ისარმა“ თითქოს ვერ შეამჩნია, რაზე ვლაპარაკობდით ან რაზე ვუთითებდით და იმის მაგიერ, რომ გულახდილათ დავგთანხმებოდა; წაღადობლას მოყოლია და გვეითხებება: კვერცი უწინ იყო თუ ქათამიო?

თუ გნებავთ, მართლაც ზედმეტი არ იქნება, „ისარმა“ გაიგოს, რა უწინ იყო: კვერცი თუ ქათამი, ან კიდევ რაზე სდგას ის ხარი, რომლის რქებზე დეამიწა დაბჯენილი და სხვა ამისთანა კითხვები, რადგან, როგორც ჩანს, ისრელები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ბევრი ბალური შეხედულებისაგინ. როცა ამ კითხვებს გაიგებენ ისრელები, (სახელმძღვანელოებს ჩვენ ვუჩვენებთ), მაშინ შეუდგენ შემდეგ კითხვების გამოკვევას: ვინ უწინ იყო და ვინ ვისგან წარმოდგა—ჩვენი ფედერალისტები „ქვეშარტ-ქართველებიდან“ თუ „ქვეშარტ-ქართველები“ ფედერალისტებიდან? რა თქმა უნდა, ჩვენ, აქაც დავებმარებით მათ.

გარდა ამ კითხვებისა: „ისარმა“ უნდა გამოარკვიოს შედეგი კითხვა. გაზეთი სწერს: „სასტიკმა გამოცდილენაჲც ვერ აგრძნობინა (სოციალდემოკრატებს), რომ პოლიტიკური პირობების ხელში ჩასაგდებათ სიტყვიერი („ისარს“ კულტურული საქმიანობა უყვარს!) რადიკალიზმი და მავარი ფრახების სროლა კი არა, ცოტა რამ სხვაცაა არის საჭირო“. ეს ცოტა რამ „სხვაცაა საჭირო“ ისე ნათქვამი, თითქო „ისარს“ ჯადო ხელთ ეპყრას და როგორც თავის ხუთი თითი, ისე იცოდეს მთელი რუსეთის პოლიტიკური სეგმედი. მიუხედავით ამისა, ჩვენ მაინც ვეითხებებით „ისარს“. რას ნიშნავს „ეს ცოტა რამა“? ავტონომია ხომ არაა? შემდეგი კითხვა, რომელზედაც პასუხი უნდა გასცეს „ისარმა“ ასეთია.

ჩვენ ვამბობდით: „ჩვენ კულტურული მუშაობა ჯერ არ გავცილდებოდით არც სოციალისტური და არც რევოლუციონური მუშაობისაკენ, რა გვარც უნდა იყოს საზოგადო საშუაგარი, ჩვენ არავის დავუთმობთ და არავის ვუთვნილებთ არ გავხდით მას, ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობის ფერხში ჩვენ შევეჭრებთ როგორც სოციალისტები და მხოლოდ როგორც ასეთები!“

„ისარს“ სასაცილოთ არ ყოფნის ეს. მისი აზრით, ამგვარი მოქმედებით ჩვენ საქმეში გარყვნილება შეგვაქვს. როგორ იქცევინ ისრელები? ცხოვრებაში, რა გავხდით მას, ბევრი სხვადასხვა გვარი საქმეა. ისრელებმა ეს ჩინებულათ იციან და ამ სხვადასხვაობის მიხედვით იქცევიან კიდევ ისინი. ერთ საქმეში ისინი მოქმედებენ როგორც სოციალისტები, მეორეში—როგორც დემოკრატები, მესამეში—როგორც „ქვეშარტ ქართველები“, მეოთხეში—როგორც ანარქისტები მეხუთეში როგორც დავთარ ანგულელები და ასე ანარქიზათ, ერთი იდეათ, ერთი პრაგმაზე, ბრძოლის ერთი მეთოდით, ერთი პრინციპით, მათ სასაცილოთ მიანჩიათ. ერთი სიტყვით ისრელების დევიზია: „ასე, ჩემო მანსეო, ხან ისე და ხან ასეო“. მართალია თუ არა? „ისარი“ უტიფრათ გაიძახის: „სოციალდემოკრატები ცეცხლით და მავლით ბრძოლას ქადაგებენ იქ, სადაც სოციალიზმს არავითარი ადგილი არ შეიძლება ქონდეს როგორც შავალითათ, სკოლაში და ან ყველასათვის ძვირფას პოეტის საფლავთანო“.

ამას ამბობენ და არც კი რცხვენიათ ფედერალისტებს, რომელთაც ჩვენი სათავდაზნაურო სკოლები ქვეშარტ-ქართველთა ციტადელბათ გაუხდიათ და ილია ქავჭავაძის ხსოვნა და წარსული შოვინისტური შურის ძიების დაუღვევლ წყაროთ.

რით აიხსნება „სარს“ ასეთი უტიფრობა?

თავისთავით რეზოლიუცია მე ვერ მიიძღვებდა კალამი ამელო. როგორც ყველა სხვა, ბოლშევიკებისგან მიღებულ რეზოლიუციები, ეს რეზოლიუცია, რასაკვირველია, უხერხულათ დაწერილი და ცუდათ მოფიქრებულია. უხერხულათ წერის და უხერხულათ ფიქრის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ეს უფლება ბირობათ არ უნდა გამოიყენოთ. ამ მხრით რეზოლიუცია ჩემთვის შეუძნეველი და რაა.

რეზოლიუცია აცხადებს, რომ ჩემი წერილი მანებელია პარტიისათვის. ასეთი აზრი მეტათ სამწუხარო იქნებოდა ჩემთვის, რომ ეს აზრი ეკუთვნოდეს ისეთ ვინმეებს, რომელთა ნაწარმოები და მოქმედება მეც სასარგებლოთ მიმაჩნდეს. მაგრამ „ბოლშევიკების“ ნაწარმოები და მათი მოქმედება, რამდენაჲც ერთშია ც და მეორეშია; ესაბება „ბოლშევიკების“ დამახასიათებელი თვისებებზე, მე მიმჩნია მეტათ მანებლობათ ჩვენი მუშა ხალხის მოძრაობისათვის. მაშ, არც ჩემთვისაა სამწუხარო რეზოლიუციაში გამოთქმული აზრი. ამასთანავე მე ყოველთვის აშკარათ ვლაპარაკობდი ჩემ აზრს „ბოლშევიკების“ ცულუტობაზე, მაშ, რალათ უნდა დამჩნოდნ და საწყენათ, თუ ბოლშევიკებმაც არ დაინახეს საჭიროთ დეფარათ თავანთი აზრი ჩემ მოქმედებაზე. ამას სამართლიანობა მოითხოვს.

მაგრამ ჩვენი პარტიის მტრებს „ბოლშევიკებისგან“ მიღებულმა რეზოლიუციამ საბაბი მისცა დესკვენათ, რომ აზრი გამოთქმული ჩემ წერილში, რომელიც ბოლშევიკებს არ მოეწონათ, ჩემი პირადა აზრია, ისეთი აზრი, რომლის გამოთქმის გამო მე ჩაგვეჭრა ისეთ მდგომარეობაში, თითქო ვარისხული ვიყო.

აი ეს დასკვნა მაძღვლებს მოგმართოთ ღია წერილით. მე იძულებული ვარ ხმა მალა შევძახხოთ თქვენ: „საიტყვა კაჲთუნას შენშეგაგებს“.

გარეგნულათ ეს დასკვნა უნაკლულია ლოკის მხრით. თქვენ სდუმთ, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თქვენც მონაწილეხ ხართ იმ აზრისა, რომელიც „ბოლშევიკებმა“ გამოსთქვენ ჩემი წერილის შესახებ. და თუ თქვენც მონაწილენი ხართ ამგვარი შეხედულობის, მაშინ მე მართლაც რომ ერთგვართ განმარტებულნი ვრჩები, თუმცა ასტრაკიზმამდე ჯერ კიდევ შორს ვარ.

დემოკრატობა პოლიტიკურათ—განმარტებულნი დამიანისა მიმიეა. მაგრამ ეს ემიმეზა იმის, ვისთვისაც ეს ახლო მივლენას შეადგენს ცხოვრებაში, მაგრამ ჩემთვის ეს ჩვეულებრივი ხედრია და შეგვივით მს ატანასაც. და მართლაც, თავს ხომ არ მოვადლებდით მკითხველ საზოგადოებას ჩემ ლოლიკურ განმარტებაზე ჩივილით.

საქმე ხომ ჩემში არ არის, საქმე პარტიაშია. მე კი არა, პარტიას აენგის თქვენი ღუმილი.

ეს ღუმილი საზარალოა პარტიისათვის რადგან გარეგნულათ სიმართლას სასეს აძლევს დასკვნას, რომელიც ჩვენმა მტრებმა შეადგინეს „პლენარის ინციდენტის“ გამო.

ჩემ წერილში მე ვთქვი: თითოეული ჩვენგანი შეუფოთდება; როდესაც ავიგებს, რომ მან თავისი ამა თუ იმ შეცდომით ხელი შეუწყო შავი ძალების გამარჯვებას.

მე ვთქვი, რომ ამომჩრეველებს არა აქვთ საბუთი ეშინოდეთ ჩვენი მხრით ასეთი შეცდომებისა, რადგან ჩვენი პარტია მიუხედავით თავისი უვარგისი საარჩევნო პლატფორმისა, ღირსეულათ შესარულბებს თავის დიად პოლიტიკურ მოვლენობას. გადამწყვეტ მომენტში,—ვეუბნებოდა მე ამჩრეველებს, ის მოიქცევა თანახმათ ჩვენი მოძღვრების სულის და ამა თუ იმ პარტიულ დოკუმენტის ანახისს.

სიტყვა ეკუთვნის „მეშევიკებს“.

(ღია წერილი ჩემ თანამოაზრეთა მიმართ პარტიაში)

მე უნდა ისეთი კითხვით მოგმართოთ თქვენ, რომელსაც უღიდესი მნიშვნელობა აქვს არა პირადათ ჩემთვის, არამედ თითოეულ თქვენთავანისთვის.

ეს კითხვა შეეება იმ დასკვნას, რომელიც გამოყავთ ჩვენს მტრებს იმ ფაქტადან, რომ ცენტრალურ კომიტეტში „ბოლშევიკების“ ხლი მიღებულ იქნა დაწუნების რეზოლიუცია ჩემი წერილის შესახებ: „განსაცდელის უსაფუძვლო მოლოდინი“.

გთხოვთ დაიხსომოთ, რომ მე მსურს ვილაპარაკო თქვენთან სახელდობრ ამ დასკვნებზე და არა თვით რეზოლიუციაზე.

„ბოლშევიკები“ განრისხდნენ თავისებურად ისინი მართლმადიდებელი იყვნენ. იმათი თვალსაზრისით არ არის არავითარი წინააღმდეგობა ჩვენი მოძღვრების სულის და უკანასკნელი პლატფორმის ანაზნათა შორის. ამათი შეხედულებების მიხედვით მათ უნდა სჩვენებოდეს, რომ პლატფორმა იმ იმდენად აშუშებს ჩვენს საარჩევნო ტაქტიკას, რამდენადაც ეს შეუძლია მთელ პოლიტიკურ სივრცეს. ამათი თვალსაზრისით არც შეიძლება მოწონება სხვა ტაქტიკისა, გარეშე პლატფორმაში გამოთქმულისა, ყოველგვარი შესწორება აღნიშნული ტაქტიკისა და—განაობა, რომ ყველაფერს მოქმედებით წაგაერთიანებდნენ. ამათი თვალსაზრისით ჩვენს საარჩევნო ტაქტიკას, რომელიც მასში—არ შეიძლება ამითი თვალსაზრისით არ იყოს უადგილო, მაგნი და გაკიცხვის ღირსი.

ლიხ, „ბოლშევიკები“ თავისებურად მართლმადიდებელი არიან. მაგრამ თქვენებურად როგორ არის მართლმადიდებელი „ბოლშევიკები“?

თუ მართლმადიდებელი არიან, მაშინ მე მართლმადიდებელი დავრჩები და უკეთესი იქნებოდა არ დამეწერა ის წერილი, რომელსაც ამგვარათ წილათ ხვდებოდა დარჩენა ხმათი მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა.

მაგრამ ვიმეორებ, უბედურება არა ჩემი განმარტობა და ჩემი წერილის უსარგებლო და რჩენა იქნებოდა, არამედ ისა, რომ განსაზღვრული ნაწილი ამომარჩევლებისა ზურგს შეაქცევდა ჩვენს პარტიას, გაითვალისწინებდა რა მის პოლიტიკურ შეხედულებათა შეუფერებლობას დღევანდელ დროისათვის.

მაგრამ ეს კიდევ დიდი უბედურება არ იქნებოდა. ეს მხოლოდ ნახევარი უბედურება იქნებოდა. ნამდვილ უბედურებათ პარტიას ის მოველინებოდა, რომ იგი საზოგადოათ და დიდი ხნით ჩამოშორებდა მრავალ ისეთ სინატიას, რომელიც მას შეუძლია მიიზიდოს და კიდევ უნდა მიიზიდოს.

რასაკვირველია, თუ „ბოლშევიკები“ მართლმადიდებელი არიან თქვენა აზრათ; თუ თქვენ დაგვიწყდათ ის ცხარე კამათი, რომელსაც ჩვენ, დიდი ხანი არ არის

მას აქეთ, მათთან გვერდით მეორე დღე-ღამე ჩვენი ფრაქციის მოქმედების შესახებ, მაშინ თქვენ არ შეგიძლიათ ჩემათ არ იყოთ, თუნდაც თქვენი სიზღვიე არცაა პარტიას ზოგიერთ ისეთ სინატიას, რომელიც, ასე ვთქვათ, მის ისტორიულ საკუთრებას შეადგენს.

მაგრამ თუ თქვენ არ ეთანხმებით ბოლშევიკებს, თუ თქვენ არ დაგვიწყნებთ ჩვენი კამათი მათთან, თუ თქვენ ჩემსავით იმ აზრისა ხართ, რომ ეს კამათი ჯერ სრულიად არ გათავებულა, რომ ჩვენს საარჩევნო პლატფორმაში უნდა შეტანილ იქნას შესწორება, მოქმედებით თქვენ გესმით, რომ მე ვლაპარაკობ შვინდელისთან საბრძოლველათ სპირიტუალურად საარჩევნო შეთანხმებაზე, მაგალ, ისეთზე, როგორც ვეძებ მარტოვე სწერდა, მაშინ თქვენი სიზღვიე არა თუ მანებელია, იგი პირდაპირ მიუწოდებოდა.

იქნებ თქვენ ფიქრობთ, რომ არჩევნების დროს უკეთესია არ გამოვამდგინოთ ის უთანხმოება, რომელიც ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებობს. იქნებ თქვენ დიდიხმობათ თუ მაგრამ ეს ხომ უხეიროა დიდიხმობათა იქნებოდა!

ამომარჩევნის რომ შეგნებულათ შეეძლოს მოეკიდოს იმ როლს, რომელიც ჩვენს პარტიას შეუძლია შეასრულოს რუსეთის სამსახურის საქმეში, აუცილებლათ სპირიტუალური ვიცლინით მას ყველა, და არა მარტო წაგაერთიანებდნენ ჩვენს აზრისა. მხოლოდ ასეთ პირობებში ამომარჩევნისა და ჩვენ შორის შეიძლება დამყარდეს გონივრული და მტკიცე კავშირი. მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ შეგნებულ მხარის დაქვარაზე, დასასრულ, მხოლოდ ასეთ პირობებში თქვენ, „მენშევიკები“, შეგვიძლია იმედი იქონიოთ თქვენი ტაქტიკური შეხედულების გამარჯვებაზე. თქვენი დიდიხმობათა—თუ თქვენ მართლმადიდებელი მოსაზრებით ხელმძღვანელობთ თქვენს სიზღვიეში—იქნებოდა რაღაც დახლოება თვით-მგვლელებსა, მაგრამ თქვენ არავითარი მიღრე-

კლება არ უნდა გქონდეთ თვით-მგვლელობისადმი. თქვენთვის აუცილებლათ სპირიტუალური მოქმედება, ყვირალი, წინააღმდეგობა, კრატია, ბრძოლა. ქვემარტობა თქვენს მხარეზე. გამარჯვებაც თქვენ დაგრჩებათ.

მაშ, შესწყვიტეთ თქვენი უცნაური და უადგილო სიზღვიე. ილაპარაკეთ პირდაპირი პასუხი გავით იმ დაგვიწყნებ თხვისა, რომელსაც თქვენ წინ გიყენებთ არა ჩემი კაპრიზი, არამედ თვით ცხოვრება.

სატყუარა გეუფნის „მენშევიკებს“. გულწრფელათ თქვენი ერთგული, მაგრამ სრულიად არა „დიდიხმობა“.

გ. პლენანოვი.

გზისგზის

დეუტატების არჩევა. დღეს 14 ოქტომბერს მოხდება არჩევნები სახელმწიფო სათათბიროს დეუტატებისა. თფილისის გუბერნიის საზოგადო კურიაში წამოყენებულია ორი კანდიდატი; სოც.დემოკრატების მხრით—ნიკოლოზ სიმონის ძე ჩხეიძე, პროგრესული პარტიის მხრით—ლუარსაბ ანდრონიკოვი. შემოსენებული კურიის ვიბორშიკების კრება მოხდება დღის 10 ს. საგუბერნიო სათავად-აზნაურო დეუტატების საკრებულოში, ბელინსკის ქუჩაზე, № 2.

ამიერ-კავკასიის რუსთა კურიის ვიბორშიკების კრება მოხდება დღის 10 ს. ქალ. თფილისის მართლმადიდებლის დარბაზში. პარტიოტების მხრით სადებუტატო კანდიდატებათ წამოყენებულია რამდენიმე პირი: თფილისის გუბერნატორათ ნამყოფი ბიკოვი, ვიბორშიკი ბაქოს „რუსთა კავშირისა“, შავროვი და მღვდელი გორდელი „პარტიოტები“ ვიბორშიკები თფილისიდან. რაც შეეხება რუსთა კურიაში სხვა პროგრესულ კანდიდატებს, ცხადია, ესენი არჩევნების დღეს იქნებიან წამოყენებული.

პურის გაძვირების გამო. პურის გაძვირებამ დიდი არე-დარევა მოახდინა თფილისში. როგორც წინათაც გვერ-

და ნათქვამი, მეთორნები თითქმის ყველა უარს აცხადებენ პურის გამოცხობაზე. ცხადია, პურის მუდგელები მხოლოდ მფურნებს მიაწყდებიან. ამის გამო დღის 6 საათზე, დღის 12 საათამდის მფურნების ღუქის წინ ყველგან შეხედებით დიდძალ ხალხს, რადანაც ზოგან არეულობაც კი ხდება, აღმინისტრაცია ცლილობს წესიერების დამყარებას. ეს ვარეობა არის მიზეზი, რომ დღეს ყველა მუშათა უბნებში დაბადებულია აზრი „კოპერაციების“ დაარსების შესახებ. ანაირი კოპერაციის დაარსება განუზრახვით, როგორც გადმოგვცეს, რკინის გზის მუშებს, და სარაჯვის ქარხნის მუშებს, უკანასკნელებს კონსია აურჩევიათ ამ დაწესებულებებისათვის პროექტის შესადგენათ.

გასამართლება. 15 ოქტომბერს, ორშაბათს დილით, საოლქო სასამართლო პალატაში გაიჩვენა საქმე რკინის გზის მოსახსახურებისა, პასუხის გებაში არიან მიცემული 30 კაცი; მათ ბრალდებით 1905 დეკემბრის დიდ საფიცვაში მონაწილეობის მიღება. სასამართლოს თავმჯდომარეობს ჩხეხვი, ბრალს სდებს პროკურორი ვასილიევი. ბრალდებულთა დიკავენ ამის გამო მოსკოვიდან ჩამოსული ვეჭილები: მურავიოვი და კობიაკოვი, ადგილობრივი—კლანკი, ტ. იონესიანი, დოლუხანიკი, ბარათოვი და ჯაფარიძე. ბრალს სდებენ 102 მუხლის ძალით. მოწმეთ გამოწვეულია 67 კაცი.

ბრალდებულთა გავრცელები შედეგათ: ი. კობიაკოვი; გ. ს. დარბაზოვსკი; ს. ქურია; ა. ი. სალონიკოვი, ნ. ლ. გაბუნია, ფ. კ. კომიშვი, ს. დ. მახარაძე, დ. ს. კახელიძე, კ. მ. ნახარენკო, ა. ი. ლუცენკო, გ. დ. თაველოვი, გ. ს. კანჩერი, ს. ა. დანდუროვი, მ. ა. კვარლია, ა. მ. ლალიაშვილი, გ. ს. წვენიევი, ნ. ს. ზაღალსტანი, მ. პ. ფედოროვი, დ. ს. ტერ-არუთიანი, ს. ვ. მანტევილი, ი. ა. ვლუშნია, ა. მ. ჩოვანი, ა. კ. ტროიკი, გ. ა. კეხელი, კ. ნ. ჩიქოვანი, ი. ი. ივანოვი, ვ. ა. ტერ-ასტუროვი, ი. მ. ქავთარაძე, ი. გ. ვალუსტოვი და ნ. ა. დავილოვი.

მაგრამ ისიც დიდი ღვაწი წყალობა იყო, რომ, როცა ზოგი ჩვენი მამები სომხებს უერბოთ უზირებდნენ შეწვას, ამათ ახალის, ღრმა ჰუმანიუროს მოძღვრების მიხედვით, სასტიკათ უარყვეს ეს ბარბაროსული აზრი და მეტეორულათ დაამტკიცეს, რომ სომხებიც ადამიანები არიან და ვისაც მათი შეწვა უნდა, უუქველათ ერბო უნდა ინსარსო. იმ დროს, როცა ქართველი ფედერალისტები გამოპრძინდნენ სამოქმედო ასპარეზზე; ასეთი მათი გამირობაც მამებისადმი დიდი წინააღმდეგობის გაწვევას ნიშნავდა. ფედერალისტებმა კიდევ მეტი ქნეს: იქნება მამებს ამისთვის კიდევ იმდენათ არ მიეციათ ყურადღება, მაგრამ შეიღებმა მოდის მიხედვით თავი „სოციალისტებმა“ გამოაცხადეს და ამის შემდეგ, ხომ მამებსა და მათ შორის სულ ერთიანათ ჩატყდა შემეორთე-ბელი ხიდი. ასე იყო, თუ ისე ქართველი ფედერალისტებიც განშორდნენ მამებს და გაუდგნენ გზას, მაგრამ შორს ისინი ვერსად წავიდოდნენ, რადგანაც მათ არა ქონდათ ის კომპასი, ურომლისათაც ამოპრძინებულ ცხოვრების ზღვაში გზას ვერაინ გაიგნებეს. მათ არა ქონდათ გამარჯვებული დროსა და გარემოების შესაფერი მოქმედების პროგრამა; ახალ მოვლენილ „სოციალისტებს“ ცხოვრებამ მალე დაანახვა, რომ ერთობ აჩქარდნენ, როცა მამების სახლიდან გაიქცნენ. ისინი სცენაზე პირველ გამოსვლისათანავე დარწმუნდნენ, რომ მათ არა თუ ზეპირათ არ იცოდნენ ის რაობები, რომელიც ასე აჩქარებთ ეკისრათ, მათ ჯერ დალაგებოდათ არ წაიკრებოდათ ეს უკვე ნაკისრი რაობები. ასეთი ავლა-დიდების მოქმედებით „პოლიტიკური პარტია“, რა თქმა უნდა, დამარცხდა. უფრო ძლიერმა მტერმა მას პირველ შეტაკებისათანავე დააკლვიინა ბრძოლის ველი. მაგრამ ჩვენი „სოციალისტები“ ძალაუბრებულათ შეურთდნენ პირველ დამარცხებას, ცოტა უკან დაიწიეს და მამებსა და შვილებს შუა, იმ შვილებს შუა სოციალდემოკრატის რომ ეძახიან, იმათ დაიპირეს ადგილი. სოც.დემოკრატების ყოველ ახალ იერიშის მიტანაზე ისინი საჩქაროთ ალაგებდნენ თავის გულანაზიდს და მამების პოზიციისაკენ გადააჩოჩებდნენ თავიანთ სახედრო ბანაკს. მა-

ლე ტყვი-წამალიც შემოკლიათ და ჩქარა საქმე იქამდე მივიდა, რომ ისინი მათ მიერ უარყოფილი მამების იარაღითა და არგუმენტებით დიკურდნენ მტერების მოსაგერებლათ. ქართველის სახელი ძველადანვე ცნობილია, როგორც მკობარი და ამათაც თავისი თავი ნამდვილ ქართველათ გამოაცხადეს და მოწინააღმდეგეებს კი დაუწყეს ბრალდებულთა საქართველოსა და ქართველების დამარცხება და გარდაცვალების გზაზე დღგომას, სწორეთ ისე, როგორც ამის უფრო ადრე ჩვენი მამები ჩადიდდნენ. ქართველობით თავმოწონებამ ისე გაიტყუა ეს ახალი სოციალისტები, რომ, როცა იმათ ნაწერებს კითხულობათ, ძნელი იყო გარჩევა—სად თავდებოდნენ უარყოფილი მამები და სად იწყებოდნენ ურჩი და უძღვლები შვილები. ყოველ მათ მოქმედებას ზღვევ ეტყობოდა, რომ ის ცოტადენი საზღვარიც, რომელიც მამებსა და შვილებს შორის დარჩენილი იყო, ანდათან ქრებოდა და უკვე გონს მოსული ურჩი შვილები ხოლოდ მოხდენილ დროს უცდიდნენ, რომ ეს ცოტადენი საზღვარიც წაეშალათ და მამების მემკვიდრეობით მინც ვაგმსოთ თავიანთი დაკალიერებულნი გუდებენ.

ასეთი დროც მალე დაუდგა ჩვენს „სოციალისტებს“. ვილაც მშვე-კაცების ტრანზიანმა ხელმა ბოლო მოუღო ილია ქვეყანას. ეს სრულიად საქმარ შეიქნა, რომ ქართველ ფედერალისტებს, ამ მამების ვითომდა ურჩ შვილებს, მამების წინ მუხლები მოეყარათ, ცოდვების პატიება ეთხოვათ და მათ ძველ ქვეყნე შეფერებოდათ შემეორთ თავები. მამებთან შეზღვიე, შეიკრეს და გულმან მიიკრეს თავისი უძღვლები შვილები, რომელთაც „გავმფრთხი“ გაცატების დროს რაღაც საშინელი სახელი „სოციალისტები“ დაირქვეს და მით მშვიდობისა და მყუდროების მოყვარულ მამებს გულის ფრიალი მოგვარეს. დღეს ორიენი ერთათ შეერთებულან, ერთ ფერხულში შეგმუდნან და ერთის ძალითა და ღონით ებრძვიან საზოგადო მტერს—სოციალდემოკრატისა.

რა საკვირველი და თანაც სულის ამაღლებელი სურათია! როგორც მოგვხსენებთ, სახარების უძ-

ვეჭილების ჩამოსვლა თფილისში. გუშინ, დღის 14-სანაწე თფილისში ჩამოვიდნენ ნაფიცი ვეჭილები მურავიოვი და კობიაკოვი და 15 ოქტომბერს, რკინის გზის მოსახსახურებს, როგორც ბრალდებულთ დეკემბრის საფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის.

სან. კომისიის დადგენილება. ქალაქის საბჭოს სანიტარულ კომისიის დადგენილებით წინაღობა ეძლევა ქ. გამგეობას—სავალდებულო გახადოს სანიტარულ ექიმებისათვის, იცხოვრონ იმ უბანში, სადაც მათ უხდებთ მუშაობა სანიტარულ საქმეების გამო.

ჯარის გადხდა. უსახელო ტრამვანის საზოგადოების დირექციის 13 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობაში შეუტანია 47,000 მ. ჯარი, რომელიც ქალაქის საბჭოს კომისიის მისთვის დაუკისრებო სხვადასხვა დროს არსებული პირობების დარღვევისათვის.

დამატებითი ცნობა ფრანკის გამარცხის შესახებ. როგორც იცნობებიან სულ მიჭქსებოათ 174,000 მან. აქედან უჩაღებს გაუტრათ 51,920 მან. 51 კან., მისთან დამჭქსოვან მოუყავათ ორი: ერთი შარბინის მზრის სოფ. სქარას მწესფრეუბი არაბიქ და მეორე ქუთ. მზრის მწესფრეუბი განდჯავი.

წესდების დამტკიცება. როგორც გადმოგვცეს თფილისის გუბერნატორს უკვე დამტკიცებია დურგალთა შრფქსისათაფრ საზოგადოების წესდება. საზოგადოებათა გადგეტ გაუხსნას კანტონა ვანქს ქუჩაზე № 6—კანტონის რუსთა ქუჩიდან აქვს შესასვლელი. საზოგადოება იღებს უფელანს სადურგალთ საშუაას, მუშების ქიანსა მ კატეგორათ განუთავება.

ურთიერთ დამხმარე საზოგადოების კრება. დღეს, 12 ოქტომბერს, დილით ქ. თფილმარტუელის დარბაზში ანაშხულია კრება თფილისის სასტუმროების, რესტორან-ბუფეტების და სხვა აშვარ საფარო დაწესებულების მატრონათ ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წევრებისა. კრებამ უნდა მონსინანს წდიერა ანგარიში სარგეისათ კომისიისაკენ, უნდა აირჩიოს სხალი გამგეობა

ს ა კ ე რ ა მ თ ი

როცა ქართველი ფედერალისტებიც მოქმედებს ვუკვირდები და მათ წარსულსა და აწყოსერთმანეთს ვადარებ, უნებლიეთ მაგონდება იგავი უძღვებს შვილებზე.

უძღვებმა შვილმა არ მოისურვა დამორჩილებოდა თავისი მშობლის მკაცრ რეჟიმს, მან თავისუფლათ, თავისი საკუთარ სურვილსა და გემოვნებაზე ცხოვრება არჩია და განშორდა მშობლიურ კერას. მაგრამ მან დიხანს ვერ გაუძლო ცხოვრების ქარის ქროლას: როცა მთელი თავისი ქონება გაფლანგა, შიმშილმა ფერდელ მიუტრა და ტანსაკმეილიც შემოაცვდა, ის ისევ მიუბრუნდა თავის მშობლის ქერს, სინანულის კრემლებით დაეკა მუხლებზე და შეცდომის პატიებას სთხოვა იმ მშობელს, რომელსაც წინათ ურჩობა გაუზღდა.

აბა კარგათ გადაავლეთ თველი ქართველ ფედერალისტების ისტორიის დღიდან მათის დაბადების ვცრე ილია ქვეყანის სიკვდილამდე, თუ სწორათ არ უძღვები შვილის თავ-გადასავალი ამ მოგავონდეთ.

ქართველმა ფედერალისტებმა, როგორც ყველა ახალი პოლიტიკურმა და ოპოზიციონურმა პარტიამ, მამების ურჩობით დაიწყეს თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. მართალია, როგორც ვიცით, ისინი სამშობლოდან არსად გარდახვეწილან; ისინი არ განშორებიათ იმ ერთხედ და სამუდამოთ გაკაფულ გზას, რომელიც ჩვენმა მამებმა გატანეს ჩვენი ცხოვრების უღრან ტყეში, მაგრამ ახალი თაობა, რის ახალი თაობაა, თუ ძველების მოქმედება კრიტიკულათ არ ვაარჩია და იქედან ცოტადენი საქირო საგზალი მანც არ წაიმძღვარა ცხოვრების გზაზე. ეს მოსაზრება უწინ ქართველ ფედერალისტებსაც ქონდათ; ისინიც გრწობდნენ ახალი გზის ვაცვანის საქიროებას ჩვენს ცხოვრებაში და ამიტომაც მათაც შეძლებია დავგართო მოკიდეს ხელი ამ საქმეს და თავისი მანგები ახალი დროების მიხედვით მომართეს. მართალია, ეს ახალი ხმები ძველი ხმებიდან დიდათ არაფრით განირჩეოდა,

დღეს შვილის მამამ შვილის დაბრუნება დღის ამპით იდღესსაწალა: საუკეთესო ზვარაკი დაკლა, მეგობრები მოიწვია და ნაღმი გამარა. არც ჩვენი მამები ჩამორჩენ უკან ამ თავს თანამოძმეს: ამათაც დიდი ნაღმი გამართეს და დიდ სიხარულში არიან შვილების ასე მოქცევიანებისთვის...

ამ ნაღმში თანადობა მ-ნმა იაკობ გოგებაშვილმა იკისრა. მან ისევ ძველებურათ მომართა ქაშინა და სიხარულით აუწყა ქვეყანას დადგეული და დანგრეული საქართველო შეერთდაო. ის დღის ამპით აღიარებს, რომ ილიას სიკვდილმა დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ქვეყანასო და ეს სარგებლობა თურმე მამში გამოიხატება, რომ საქართველოს თხები და მღვთი ერთათ სიოვენი. „სრული ერთობა საქართველოსი, ყოველი მისი კუთხისა, ყოველ ქალაქისა, ყოველ დაბისა და სოფლისა, ყოველი წოდებისა,—ის ერთობა, რომელიც აძლევდა ჩვენს ქვეყანას წარსულში დიდ ძალას და შემდგეშიაც ფეხზე დაყენებს მას, ძალდონით აღავსებს“. (იხ. „ისარი“ № 202).

როცა ამ აღტაცებულ სიტყვებს კითხულობთ, გვანათ: ბ. გოგებაშვილი ლოლიკურ დასკვნას გამოიყენას თავისი აზრით და იტყვის: „ერთობა, რომელიც აძლევდა ქართველ ხალხს მონობის უღელს, რომელიც თვით განსვენებულმა ილიამ დაგვისურაათ თავის საუკეთესო თხებულეებში“. ჩვენც ასე ვფიქრობდით, მაგრამ შეეცდით. იაკობ გოგებაშვილი გამოკლილი მწერალია და აბა ასეთი მარცხი როგორ მოუვიდოდა. მაგრამ,—

შოი მეორეთ ვახანლოვდება, საკვირველ არიან საქმენი შენნი!—ამ უძღვლებ შვილთა მშობლიურ ქვეყნე დაბრუნებამ ისე გააქმევილია ჩვენი იაკობი, რომ ის ძალიან ზნეობრივ მალაყებსაც გადადის თავის მოწინ აღმდგეე პარტიის თავზე. მან წარბ-შეუხრულათ აღიარა, რომ ილიას მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე იყო და მკვლელებს მისი ქონების მითვისება არა უნდოდათ, მხოლოდ მისი ხალხის თვალში დამცირება სურდათო. არა გჯერათ? აბა წაიკითხეთ: ორფება მხეცები ვერაგულათ კლავდნენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას

რასაკვირველი, იმ განზრახვით და იმეღით, რომ დამტყინებინათ მისი დადებულა სახედა, მისა დიდა გაუდუნა ქართველებს (ხაზს ჩვენ ვუსვამთ. იხ. „ისარი“ № 197).

ხაზ გასულ სიტყვებიდან ცხადია, რომ უბრალო ავასკებს, კაცის მკვლელებს, ორფება პირუტყვებს, არ შეეძლოთ უხელმძღვანელოთ ასეთი მიზნით ამ საშინელი მკვლელობის ჩადენის დროს; ისინი, როგორც მხეც-კაცთა წესია, არაფერს სახელსა და იდღვას არ აღადგედნენ, გარდა ვერცხლისა და აკი წაღეს ის ვერცხლი, ის ცოტადენი ქონება, რაც განსვენებულ პოეტს თანა ქონდა. თუ მკვლელებს ასეთი პოლიტიკური აზრი ელათ გულში, თუ იმათ უნდოდათ თავიანთი ხალხის თვალში, და მით თავისი პოლიტიკური მტერი მოეშორებინათ, ცხადია, მკვლელობაც პარტულ ნიადაგზე ყოვილია და გვარცმის ღირსია ის პარტია, რომელმაც ეს მოიპოქმედა. ცხადია, ბ. გოგებაშვილსაც ასეთი დისკვნა უნდოდა. მან კიდევ დაასკვნა ეს, მაგრამ ძალიან აჩქარდა. ასეთი დაუფიქრებელი მოქმედება ერთობ საფათროკოა და ჩვენს დამხმარებულ პედაგოგისაკენ ეს არ უნდა გვხმენდა. მაგრამ ეს ამ დროებით ენატრება ბ. იაკობს. მას ხომ ყოველგან და ყოველთვის ელანდებოდა და; ვაცს, ახლაც ელანდება, რაღაც პარტიული დანატი, მისი ნიქისა და ამაგის უარყოფა და არაფრათ ჩადება. ესეც არ იყოს, აბა ახლა, როცა უძღვები შვილები სახლში დაბრუნებას და სიაოვენების ასე დაუთვრია, რა დროსა საქმის დაფიქრება იყო.

იაკობ გოგებაშვილს ღირსეულათ უძმე შეგნებს მხარს ბ. ონა მეტუნარგია. ის სტირის და გლოვობს პოეტს, რომელსაც თურმე იმ დროს მიუტოვებია ჩვენი ქვეყანა, როცა თვით მამულის წმიდა-წმიდათას შეხებია განუსჯელი თაობა, აბა წაიკითხეთ ბ. მეტუნარგის გოღება! „შენ დაგვმორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდა წმიდათას შეგნა განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარმეტყველო სიტყვას შეეძლო ეს თაობა გონს მოგყვანა. ვინ იცის, ეგებ შეიძლებოდეს კაცს კაცობრიობა უეყარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამუ-

